

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

bgrbsa@bgrbsa.ge

მამუკა ქაფიანიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბრძოლო იარაღის
კოლექციის ატრიბუცია და ექსპერტიზა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორუფერატი

თბილისი

2012 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ეროვნულ
მუზეუმსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირების-
ინიციატივის ფარგლებში, საზოგადოებრივ მეცნიერებების
დეპარტამენტის, საქართველოს ისტორიისა და ძართული კულტურის
ისტორიის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული პროფესორი:

/გ.ინანიშვილი/

თანახელმძღვანელი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
მთავარი კურატორი:

/ე.ნადირაძე/

რეცენზენტები:

ისტორიის დოქტორი,
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი:

/ნ.შოშიტაშვილი/

ისტორიის დოქტორი,
მეტალურგიის ინსტიტუტის
მეცნიერ თანამშრომელი:

/ბ.ამადლობელი/

დისერტაციის დაცვა შედგება 2012 წლის 15 ივნისს 16 საათზე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგის სხდომაზე.
0175, თბილისი, კოსტავას ქ. №77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერაციის – სტუ-ს
ვებგვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს სრული პროფესორი:

/ბ. იმაძე/

SUMMARY

The thesis by Mamuka Qapianidze – “Attribution and Expertise of Collection of Weapons of the National Museum of Georgia” is offered on 162 computer pages. The thesis consists of introduction, review of special literature, results of the studies carried out by the author and their discussion given in five chapters, conclusion, list of references and the annex.

The **introduction** substantiates the actuality of the studied theme, modern state of its scientific research, the goal of the study, problems, objectives, theoretical and practical bases and information base. The principal directions of the work and its scientific novelty are formulated. Its practical significance is shown.

Review of special literature describes the present status of the problem study and the alternate methods for the resolution of the flaws and modern scientific approaches of their extirpation.

The **first chapter** offers the history of the fund of weapons of Simon Janashia Museum of Georgia, and the ways of filling of the fund/corpus are described: these are the materials obtained as a result of expeditions, exhibits which had been donated to churches and later were transferred to the museum, accidentally acquired weapons, confiscated and handed over by the collectors or purchased from them. The same chapter offers biographical data of some collectors found in the archives of the museum.

The **second chapter** considers the methods of investigation, applied in the process of the present study. These are historical, descriptive, comparative, stylistic-typological analyses, spectral (determination of chemical composition of the material) and metallographic analysis (micro structural study of weapon steel, evaluation of structure and determination of technological characteristics) of cold arms. The scheme of the complex method of the study is considered, which determines the possibility of attribution-expertise of the exhibits.

The **third chapter** offers classification of the material of the weapon fund. Arms are divided into two types, those for attack and for defense. Weapons for attack are:

Pricking weapon –“horoli (oroli) spear, lance, bayonet, “gmuri”, halberd, “libandaki”, “alebardi”; throwing-pricking weapons “mazraki”, “khufani”, “satkhedi” (hand-spear), “geoni”; throwing weapons: sling-shot, “filakavani”; shooting weapons – bow and arrow, arbalest/cross-bow; striking arms – whip, “gurzi”, “goguti”, crook, “argani”, “chuglugi”, battle axes, “ghajiebi”; cutting arms – sword, dagger, sabre, knife, poniard.

Arms for defense are:”sakaco and satskheno” (“for men” and “for horse”)

From the means of defense of the warrior the hoods, chest protecting and limb protecting means are considered.

Battle hoods –helmet, cask, “chabalakhi”, “fafanaki”; for chest protection – coat of mail, chain shirt, “begtari” (with metal plates) “tori” (whole iron or two-sectional) “kafi”, “yalmagi” (coat made of chains); limb-protecting means–“khelnavi”, chain

“safuxre”, for knees –“sakirmuza”, for hips. (chain for protection of legs), trousers made of chains.

From the defense weapons/means the shield is described separately which was used from times immemorial in battle art.

The same chapter considers the equipment of a warrior, before and after the firearms were introduced.

Each type of arms is considered on the basis of correlation of the results of the studies of archaeological material and ethnographic data. Scheme of development and refining of the weapon was developed on the basis of the data available in Georgia. Simultaneously with the Georgian material the weapons of other countries and ethnic groups kept at the fund are considered.

The **fourth chapter** deals with the cold arms collection, which is presented by 500 swords/sabres. Classification of swords is made according to their origin, as follows: Japanese, Chinese, Indian, Persian, Turkish, European, Russian, Caucasian, Middle Asian and Georgian. Definite type of swords is described separately, according to the fund material. Thus for example among the Japanese swards we isolated. These are “tekuto” – old straight sward; “tanto” – knife, up to 30 cm in length; “vakidzashi” –small sword from 39 cm to 60 cm; “tati” – big sword from 60 cm and longer (was carried with its tip down); “katana” – a big sword (which was carried with the tip up). From the Chinese swards:”vodao” and “chan ma dao”, which describes its designation and function – “sword, which cuts horses” etc.

In typological attribution of swords the main attention was devoted to thorough study of Georgian weapons. Diversity of Georgian sword was expressed in terminology too. There are ten types of Georgian swords, which were preserved in Georgian life very long. In the depository of the National Museum of Georgia we have “gorda”, “kaldy”, “kabiani”, “davitperuli”, “franguli” (French) (with imprint of a wolf), “khevsuruli”, “lekuri/cholauri” (sabre), ungruli” (Hungarian), “tbilisuri and Iranian type Georgian sword. Irrespective of the fact that these forms of swards gradually, because of definite practical designation or vogue, acquired names of foreign made swords, they in the principle still express the character of locally made weapons and fall in the category of “Georgian swords” without any problem.

The **fifth chapter** considers the stages of development of firearms: I –guns/rifles with wick (XV-XVI cc), II – rifles-pistols with rolls (XVI-XVII cc), III- flintlock rifles and pistols (XVI-XVIII), IV –percussion muskets and revolvers (XIX c. I half), V- rifle with needle (XIX cent., II ,half). Classification of the weapon fund was made where several groups were distinguished according to the origin: Georgian, Circassian, Daghestanian, Russian, Turkish, European and American. Chronological frame of weapons covers XVI-XIX centuries. Weapon of each group in its turn was divided into types. Thus, for example from the Georgian weapons we identified and characterized the guns –“gvelistucha”, “Mustafa”, “erejib”, “khirimi”, “machakhela” et al.

Special attention was paid to the contribution of the King Erekle the II to a matter of development of art of making Georgian weapons. The weapon making craft of the regions of Georgia where the firearms were manufactured is described as thoroughly as possible..

Memorial guns kept at the weapon fund were studied. Attribution of firearms, study of identification marks and deciphering/interpretation of the existing inscriptions enables us to identify and examine some dozen samples of unknown till now samples. At the same time, the studies carried out on the basis of historical sources enabled us to associate some weapons with definite historical facts of Georgia.

Conclusion offers the main results of the implemented research.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა. იარაღ-საჭურველი მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების სფეროა. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე შეიარაღების ისტორიის სახეობათა რეკონსტრუქციისათვის არსებით ეთნოგრაფიულ წყაროს, მათი კომპლექსური კვლევის შედეგები წარმოადგენს.

ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდის სატევარს, მახვილს, ხმალს, შუბს, მშვილდისარს, დამცავ საშუალებას ფარს, აბჯარს, მუზარადს და შეიარაღების სხვა ელემენტებს ლითონწარმოების დონე განსაზღვრავს, ვიდრე XV-XVI საუკუნეების დიდმა გარდატეხამ საბრძოლო ხელოვნებაში, შეიარაღების მთავარ და გადამწყვეტ ფაქტორად ცეცხლსასროლი იარაღი არ მოავლინა.

აღსანიშნავია, რომ XVII-XIX საუკუნეების ქართულ იარაღთან დაკავშირებული მონოგრაფია დღემდე არ შექმნილა. ინფორმაციის ვაკუუმია მაღალი პოლიგრაფიის, მეცნიერულად დამუშავებული კატალოგების გამოცემის კუთხით. ამდენად, წარმოდგენილი საკითხი დიდ ინტერესს იწვევს საქართველო-კავკასიის რეგიონში გვიანშუასაუკუნეების იარაღწარმოების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს ასევე ის ფაქტიც, რომ ეროვნული მუზეუმის იარაღის კოლექციების დიდი ნაწილი არ არის მეცნიერულად შესწავლილი. უნიკალური მასალა სრულყოფილ, ისტორიულ-ტიპოლოგიურ და ტექნოლოგიურ იდენტიფიკაციას საჭიროებს.

ნაშრომის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის XVII-XIX საუკუნეების საბრძოლო იარაღის კოლექციებში დაცული ექსპონატების კომპლექსური, ისტორიულ-ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა. ამ მიმართულებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხთა სფერო და დღემდე არსებული არაერთი საკვანძო პრობლემა, ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს.

საქართველო-კაგეასიის რეგიონში აღნიშნული პერიოდის ისტორიულ-ტექნოლოგიური და თავდაცვითი პრობლემების ახსნისათვის არსებითია შემდეგი საკითხების კვლევა:

- XVII-XIX საუკუნეების ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი.
- საბრძოლო იარაღის სახეობების მიხედვით ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის ექსპონატთა კლასიფიკაცია.
- იარაღის ფონდის მასალის ეთნიკური კუთვნილების შესაბამისი ლოკალიზაცია.
- ფონდის იარაღის სახეობათა წარმომავლობის განსაზღვრა.
- ფონდის ცივი იარაღის ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზი.
- ფონდის მემორიალური იარაღის კუთვნილებითი გამოკვლევა.
- ქართული წარმოების იარაღის ადგილი კავკასიის ხალხთა შეიარაღების სისტემაში.

კვლევის ობიექტი და საგანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდებში დაცული საბრძოლო იარაღის კოლექციები (ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის კოლექციების იარაღის 3000-ზე მეტი ექსპონატი).

კვლევის მეთოდიკა. საკვლევი პრობლემიდან და ობიექტიდან გამომდინარე, გამოყენებულია კვლევის კომპლექსური მეთოდი:

1. ისტორიული, აღწერილობითი და შედარებითი სტატისტიკური ანალიზი.
2. სტილისტურ-ტიპოლოგიური ანალიზი.
3. ინტერდისციპლინარული გამოკვლევა – ექსპონატთა მორფოლოგიურ-მაკროსკოპული, მეტალოგრაფიული და სპექტრული ანალიზი.
4. საიარაღო ფოლადის ტექნოლოგიური გამოკვლევა (სტრუქტურის შეფასება, მექანიკური მახასიათებლების დადგენა).
5. საიარაღო ექსპონატის სრული ატრიბუცია, ექსპერტიზა

6. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული იარაღის კოლექციის ძირითად ექსპონატთა კატალოგის შექმნა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომი მოიცავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცულ და შეუსწავლელ კოლექციებს, მათ მეცნიერულ იდენტიფიკაციას:

1. საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია ჰორიზონტალურ განფენილობაში, ქვეყნების მიხედვით (საქართველო, კავკასიის ქვეყნები, თურქეთი, ირანი, რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, აფრიკის ქვეყნები, ამერიკა) და ვერტიკალურ ჭრილში, იარაღის განვითარების ისტორიული ეტაპების მიხედვით.
2. განსაზღვრულია ზოგიერთი იარაღის სრულყოფილების კრიტერიუმები.
3. სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შედის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ცეცხლსასროლი იარაღის კოლექციების ისტორიულ-ტიპოლოგიური დახასიათება.
4. დადგენილია ქართული საბრძოლო იარაღის ტიპოლოგია, ჩატარებულია წარმომავლობითი კლასიფიკაცია.
5. შესწავლილია მემორიალური წარწერების და საიარაღო დამღების სახე, მიმოხილულია იარაღის განვითარების ეტაპები და დადგენილია მათი კავშირი ისტორიულ მოვლენებთან და ფაქტებთან.
6. შესრულებულია რამდენიმე ათეული ნივთის ექსპერტიზა.
7. შედგენილია საიარაღო ფონდის ძირითადი ექსპონატების კატალოგი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის კვლევის შედეგები სამუზეუმო ექსპონატების იდენტიფიკაციასა და პასპორტიზაციაზე აისახება.

ნაშრომის შედეგებს წარმატებით გამოიყენებენ თანამედროვე ქართველი, ხელოვანი მეიარაღე ოსტატები, პოპულარიზაციას გაუწევენ

ქართულ ისტორიულ იარაღს და სათანადო ადგილს დაიკავებენ საქართველოს ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარებაში.

„ომების ისტორიის” ქვეყანაში ქართულ საბრძოლო იარაღზე შესრულებული სადოქტორო ნაშრომი საკითხის შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს.

მიღებული დასკვნებით და დებულებებით შეიძლება შეიგსოს უმაღლესი სკოლის საქართველოს ისტორიის სასწავლო პროგრამები.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციებზე:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 78-ე ლია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თემა – „ქართული ხმალი – გორდა, კალდიმი”, თბილისი, 2010.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტი. საერთაშორისო კონფერენცია მსოფლიო და კავკასია. თემა – „ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა ცეცხლსასროლი იარაღი ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან”, თბილისი, 2011. დაიბეჭდა თეზისები.

დისერტაციის თემაზე დაცული იქნა ორი თემატური სასემინარო ნაშრომი:

1. „საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული საბრძოლო იარაღის ტექნოლოგიური ატრიბუცია (ციფი იარაღი)”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, დეკემბერი, 2010.
2. „საქართველოს ეროვნული მუზეუმის ცეცხლსასროლი იარაღის კოლექციები”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, დეკემბერი, 2011.

პუბლიკაცია. სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია რვა მეცნიერული ნაშრომი.

დისერტაციის მოცულობა და **სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 162 გვერდს და ილუსტრაციების დანართს. ნაშრომის ძირითადი ტექსტი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, ხუთი თავისა (შვიდი ქვეთავის) და დასკვნისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, დახასათებულია მისი მეცნიერული კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, გადმოცემულია კვლევის მიზანი, პრობლემები, ობიექტი, საგანი, თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა. ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი მიმართულებები და მეცნიერული სიახლე. ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემულია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და მისი გადაჭრის ალტერნატიული მეთოდები, ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის თანამედროვე მეცნიერული გზები.

პირველ თავში განხილულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღის ფონდის ისტორია. დახასიათებულია ფონდის შევსების გზები: ექსპედიციების შედეგად მოძიებული მასალები, ეკლესიაში შეწირული ნივთების მუზეუმში გადმოტანილი ექსპონატები, შემთხვევითი შენაძენები, კონფისცირებული და კერძო კოლექციონერებისგან გადმოცემული ან შეძენილი ნივთები. ამავე თავში მოყვანილია ეროვნული მუზეუმის არქივში მოძიებული რამდენიმე კოლექციონერის ბიოგრაფიული ცნობები.

მეორე თავში საუბარია კვლევის მეთოდებზე, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომის მომზადებისთვის: ისტორიული, აღწერილობითი, შედარებითი, სტილისტურ-ტიპოლოგიური ანალიზები, ციფრიარაღის სპექტრული (მასალის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა) და მეტალოგრაფიული ანალიზი (საიარაღო ფოლადის მიკროსტრუქტურული გამოკვლეულება, სტრუქტურის შეფასება და ტექ्नიკოლოგიური მასასიათებლების დადგენა). განხილულია კვლევის კომპლექსური მეთოდის სქემა რომელიც ექსპონატის ატრიბუცია-ექსპერტის შესაძლებლობას განაპირობებს.

მესამე თავში მოცემულია იარაღის ფონდის მასალის კლასიფიკაცია. საომარი საშუალებები ზოგადად დაყოფილია ორ სახეობად – შემტევ და თავდასაცავ იარაღად. შემტევი იარაღის ნაირსახეობად მიჩნეულია:

საძგერებელი იარაღი – პოროლი (ოროლი) შუბი, ლახვარი, გმური, ხიშტი, ლიბანდაკი, ალებარდი; სატყორცნ-საძგერებელი იარაღი – მაზრაკი, ზუფანი, სათხედი (ხელშუბა), გეონი; სატყორცნი იარაღი – შურდული, ფილაკავანი; სასროლი იარაღი – მშვილდ-ისარი, არბალეტი; დასარტყმელი იარაღები – ლახტი, გურზი, გოგუთი, კვერთხი, არგანი, ჩუგლუგი, საბრძოლო ცულები, დაჯიები; მკვეთელი იარაღი – ხმალი, მახვილი, დაშნა, დანა, ხანჯალი.

თავდასაცავი იარაღის ნაირსახეობები: „საკაცო და საცხენო”.

მეომრის თავდასაცავი საშუალებიდან განხილულია – თავსაბურავი, გულმკერდის საცავი და კიდურსაცავი იარაღები.

საბრძოლო თავსაბურავები – მუზარადი, ჩაჩქანი, ჩაბალახი, ფაფანაკი; გულმკერდის საცავი – ჯაგშანი, ჯაჭვის პერანგი, ბეგთარი (ლითონის ფირფიტებიანი), თორი (მთლიანი რკინა, ან ორნაწილები), ქაფი, იალმაგი (ჯაჭვთა გარეგან საცმელი); კიდურსაცავი იარაღები – ხელნავი, ჯაჭვის საფუხრე, სამუხლე-საყირმუზა, საბარკული, საჩერნე (საწვივე ჯაჭვი), ჯაჭვის შარვალი.

თავდასაცავი იარაღებიდან ცალგეა გამოყოფილი ფარი, რომელიც უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა საბრძოლო ხელოვნებაში.

ამავე თავში საუბარია მეომრის ეკიპირებაზე ცეცხლსასროლი იარაღის დამკვიდრებამდე და მის შემდეგ.

იარაღის თითოეული სახეობა განხილულია არქეოლოგიური მასალისა და ეთნოგრაფიულ მონაცემთა კვლევის შედეგების შეჯერებით. იარაღის განვითარება-სრულყოფის სქემა შესრულებულია საქართველოს მონაცემთა მაგალითზე. ქართული მასალის პარალელურად საუბარია ფონდში დაცული სხვა ქვეყნებისა და ეთნიკური კუთვნილების იარაღზე.

მეოთხე თავში საუბარია ცივი იარაღის კოლექციაზე, რომელიც 500-მდე ერთეული ხმლით არის წარმოდგენილი. იარაღის კლასიფიკაცია წარმომავლობის მიხედვით შემდეგნაირია: იაპონური, ჩინური, ინდური, სპარსული, თურქული, ევროპული, რუსული, კავკასიური, შუა აზიური და ქართული. ფონდის მასალის მიხედვით გამოყოფილია ხმლების ცალგეული ტიპი. მაგალითად, იაპონურ ხმლებში გამოვყავთ: ტეპუტო – ძველებური

სწორი ხმალი; ტანგო – დანა, სიგრძით 30სმ-დე; ვაკიძაში – პატარა ხმალი 30სმ-დან 60 სმ-დე; ტატი – დიდი ხმალი 60სმ-დან ზევით (ატარებდნენ წვერით ქვემოთ); კატანა – დიდი ხმალი (ატარებდნენ წვერით ზევით). ჩინური ხმლებიდან: „ვოდაო” და „ჩან მა დაო”, რაც მის დანიშნულებას და ფუნქციას ნიშნავს – „ხმალი, რომელიც ცხენებს ჩეხავს” და ა.შ.

ხმლების ტიპოლოგიურ ატრიბუციაში მთავარი ყურადღება დაეთმო ქართული იარაღის ყოველმხრივ შესწავლას. ქართული ხმლის მრავალგავარობა ტერმინოლოგიაშიც აისახა. განხილულია ქართული ხმლის ათი ტიპი, რომელიც გვიანობამდე შემორჩა ქართულ ყოფაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია: გორდა, კალდიმი, კაბიანი, დავითფერული, ფრანგული (მგლის დამლიანი), ხევსურული, ლეკური/ჭოლაური (შაშკა), უნგრული, თბილისური და ირანული ტიპის ქართული ხმალი. მიუხედავად იმისა, რომ ხმლის ამ სახეობებს დროთა განმავლობაში, სხვადასხვა პრაქტიკული მოსაზრებებისა თუ მოდური გატაცების გამო, უცხო ქვეყნებში წარმოებული ხმლების სახელები შეუძენიათ, ისინი პრინციპულად გამოხატავენ ადგილობრივი წარმოების ხასიათს და დაუბრკოლებლად თავსდებიან „ქართული ხმლების” კატეგორიაში.

მეხუთე თავში განხილულია ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ეტაპები: I – ფითილიანი თოფები (XV–XVI სს.), II – გორგოლაჭიანი თოფ-დამბაჩები (XVI-XVII ს.), III – კაუიანი თოფ-დამბაჩები (XVI-XVIII), IV – ფისტონიანი თოფ-დამბაჩები და რევოლვერები (XIX ს-ის I ნახევარი), V – ნემსიანი შაშხანები (XIX ს-ის II ნახევარი). განხორციელდა იარაღის ფონდის მასალის კლასიფიკაცია, სადაც წარმომავლობის მიხედვით გამოიყო რამდენიმე ჯგუფი – ქართული, ჩერქეზული, დაღუსტნური, რუსული, თურქული, ევროპული და ამერიკული. იარაღების ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრა XVI-XIX საუკუნეებით. თითოეულ ჯგუფში შემავალი იარაღი თავის მხრივ დაიყო ტიპებად. მაგალითად, ქართული იარაღებიდან იდენტიფიკაცია გაუკეთდა თოფებს – გველისტურა, მუსტაფა, ერეჯიბი, ხირიმი, მაჭახელა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეფე ერეკლე II-ის დგაწლს ქართული საიარალო საქმის განვითარებაში. შეძლებისდაგვარად დახასიათებულია საქართველოს ყველა იმ კუთხის საიარალო წარმოება სადაც მზადდებოდა ცეცხლსასროლი იარალი.

გამოკვლეულია იარალის ფონდში დაცული მემორიალური თოფები. ცეცხლსასროლი იარალის ატრიბუციამ, დამდების შესწავლამ და არსებული წარწერების გაშიფრვამ, ჯერ კიდევ უცნობი რამდენიმე ათეული ეგზემპლარის იდენტიფიკაციის და ექსპერტიზის საშუალება მოგვცა. ამავე დროს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ჩატარებულმა კვლევამ რამდენიმე ნივთი საქართველოს ისტორიულ ფაქტებს დაუკავშირა.

დასკვნაში ჩამოყალიბებულია სადისერტაციო ნაშრომის კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები.

იარალის ფონდის ისტორია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ახალი ისტორიისა და ეთნოგრაფიული კოლექციების იარალის ფონდის ისტორია მუზეუმის დაარსებასთან ერთად იწყება. 1852წლის აპრილში, თბილისში არსებულ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან ჩამოყალიბდა კავკასიური მუზეუმი ეთნოგრაფიული კაბინეტითურთ, რომლის პირველი კურატორი იყო ეთნოგრაფი და პოეტი რ. ერისთავი. ეთნოგრაფიულ კაბინეტში, მომავალი იარალის ფონდისთვის, იმავე წელს შემოსულია საბრძოლო იარალი. შემდგომ წლებში ივსებოდა და მდიდრდებოდა იარალის ფონდი სხვადასხვა კერძო კოლექციონერებისაგან შეძნილი თუ ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად მიღებული მასალებით, რომელთა საერთო რაოდენობა სამი ათას ერთეულს აჭარბებს.

1915 წელს კავკასიის მუზეუმში შემოვიდა მეტად ძვირფასი კოლექცია, რომელიც ეპუთვნოდა სპარს დიპლომატ გენერალ მაჯდ-ოს-სალტანეს, ურმიის ყოფილ გუბერნატორს და თავრიზის ოლქის დეპუტატს, რომელიც იმ ხანად ცხოვრობდა თბილისში, სემიონოვის №4-ში. სალტანეს ცხოვრებასა და მოდვაწეობაზე ძალზედ მწირი ცნობები მოგვეპოვება.

თბილისში ჩამოსვლისას სალტანე უკვე ფლობდა საქმაოდ მდიდარ კოლექციას. ნივთების შეძენას შემდგომ წლებშიც აგრძელებდა, იგი ყიდულობდა და ყიდდა ანტიკვარულ ნივთებს.

რუსეთ-ირანის ურთიერთობის გაუარესების გამო, პოლიტიკურმა მოწინააღმდეგებმა სალტანე მეფისნაცვალთან დაასმინეს. მას სხვადასხვა ბრალდებით (ირანის აგენტობა...) პატიმრობა ემუქრებოდა, ამიტომაც 1915 წელს ოჯახთან ერთად თბილისიდან ირანში გაიქცა. მისი მდიდარი კოლექცია დალუქეს და 24 ოქტომბრის №123 დადგენილებით (ეროვნული მუზეუმის არქივი) დააყადადეს. ამავე წელს (1916?) ბინის მეპატრონე კავკასიის მუზეუმის დირექტორს სთხოვს აუნაზღაურონ იმ ოთახის ქირა, სადაც ჩაკეტილი იყო სალტანეს კოლექცია (ეროვნული მუზეუმის არქივი 86, 1916, 14). კავკასიის მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა ალ. კაზნაკოვმა 260 მანეთი გადაუხადა ბინის მეპატრონეს. ამგვარად მეჯიდ-ოს-სალტანეს ძვირფასი კოლექცია მუზეუმში აღმოჩნდა.

1926 წელს საქართველოს მუზეუმს შეემატა საუცხოო კოლექცია იარაღისა და ბუდისტური კოლექციების სახით, რომელიც ეკუთვნოდა პოლკოვნიკ ზურაბ სიმონის ძე კობიაშვილს.

ზურაბ კობიაშვილს სამხედრო სამსახურის დროს, ხშირად უწევდა მოგზაურობა აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებში. იგი იარაღის კარგი მცოდნე და სპეციალისტი იყო. წლების განმავლობაში მან შეაგროვა აღმოსავლური და ევროპული იარაღის ძვირფასი კოლექცია, მათ შორის ზოგი ისტორიული მნიშვნელობისა.

ეროვნული მუზეუმის არქივში დაცული მასალის მიხედვით (ფონდი №17, არქივი №7) ირკვევა, რომ კობიაშვილის კოლექციის შეძენის საკითხი მუზეუმმა რამდენიმეჯერ განიხილა და 1925 წელს 15 000 მანეთი ოქროთი მისი შეძენის საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

1903 წლის დასაწყისში, გუსტავ რადეს გარდაცვალების შემდეგ, საიმპერატორო აკადემიის კრებამ, კავკასიის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვი აირჩია. კაზნაკოვი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა იარაღის კოლექციით მუზეუმის შევსებას. მან საკმაოდ კარგად შეისწავლა

კავკასიური იარაღი, კავკასიულ ოსტატთა დამდები და ნიშნები. კავკასიის მეფისნაცვალთან მოლაპარაკებით მან მუზეუმისთვის კავკასიულ მთიელთა ჩამორთმეული იარაღის გადაცემის ნებართვას მიაღწია. 1904 წელს კაზნაკოვის მიმართვის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ კავკასიის მუზეუმს კონფისცირებული კოლექცია გადასცა (ეროვნული მუზეუმის არქივი. საქმე 9, 1904წ).

ფონდი გამდიდრებულია ასევე კერძო კოლექციონერების მირზოევისა (100-მდე ნივთი) და კაფაროვის (70-მდე იარაღი) პირადი კოლექციებით.

საქართველოს მუზეუმის საჭურვლის კოლექციებით გამდიდრების ერთ-ერთი წყარო იყო საჭურვლის ტაძრებისათვის შეწირვის წესი. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ეს საყურადღებო ჩვეულება, როგორც ჩანს, გვიანობამდე მოქმედებდა. ამ წესმა თუ რიტუალმა ბევრი საინტერესო ნივთი შემოგვინახა, რომელთაც შემდგომ მუზეუმში დაიდეს ბინა.

XIXს-ში სიძველეთა ყოველი მოყვარული ძალაუნებურად ერთგვარი კოლექციონერი ხდებოდა. ქართულ ოჯახებში საერთოდ წესად იყო მიღებული საჭურველის თვალსაჩინო ადგილას დაკიდება. ბინის ასეთი კუთხი თავისებურ გამოფენას წარმოადგენდა. საქართველოში ასეთი ტრადიციები იმდროინდელ მესვეურებს სამუზეუმო წამოწყებაში გადაუტანიათ. მუზეუმის ფონდებში მრავლადაა შემოსული იარაღი სწორედ ასეთი ოჯახებიდან.

კვლევის მეთოდიკა

საბრძოლო იარაღის კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ვიზუალურ დათვალიერებას, საიდანაც მომდინარეობს მისი სტილისტურ-ტიპოლოგიური ანალიზი. მაგალითად, ხმლის ექსპერტისთვის საჭიროა ჩატარდეს ხმლის ტარის, პირის, ვადაჯვრის და ქარქაშის სრული ვიზუალური დათვალიერება, სტილისტური ანალიზი, რის მიხედვითაც დგინდება ხმლის ტიპოლოგია (ვადაჯვრის ფორმების მიხედვით შეიძლება დადგინდეს ნივთის წამომავლობა, შესაბამისად იარაღი განირჩევა ტარის და პირის ფორმების მიხედვითაც).

ნივთის კომპლექსური შესწავლისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამღებს. მათ კვლევას კონკრეტულ მეიარადე ოსტატამდე მივყევართ (მეიარადის ვინაობა, ეროვნება და ქვეყანა სადაც დამზადებულია იარადი).

ექსპონატის ექსპერტისას დიდი ყურადღება ეთმობა იარაღზე შესრულებულ წარწერებს, ძირითადად ხელოსნის, ან დამკვეთის აღნიშვნით. წარწერის არსებობა გადამწყვეტია ნივთის მემორიალურობის განსაზღვრისათვის (ნივთის უნიკალურობა და ფასეულობა იზრდება მისი მფლობელის ვინაობის დადგენისას).

საექსპერტო დასკვნის შედგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ნივთის დაცულობას, რესტავრაციას და პოპულარობას.

იარაღის ექსპერტიზა მოიცავს ექსპონატის პასპორტიზაციას, სადაც გათვალისწინებულია ნივთის შემდეგი მახასიათებლები: სახელწოდება, მასალა, ზომა, წონა, წარმომავლობა, პერიოდი, კულტურული კუთვნილება, პერსონალური კუთვნილება, აღწერა, დამზადების ტექნიკა-ტექნოლოგია, დეკორი, დამდა, წარწერა, ლეგენდა, დაცულობა, პუბლიკაცია.

გამოყენებული კომპლექსური მეთოდი, ვიზუალურ დათვალიერებასა და სტილისტურ-ტიპოლოგიურ ანალიზთან ერთად, ითვალისწინებს ნივთის მასალის (ხის, ტყავის, ლითონის, ზედაპირული დამუშავების) ინტერდისციპლინარულ გამოკვლევას (მასალის რაობა, ქიმიური შედგენილობა, დამზადების ტექნოლოგიური სქემა). მეთოდი მოიცავს ცივი იარაღის კომპლექსური კვლევის პროცესს – ლაბორატორიულ ექსპერიმენტს, ლითონის მეტალოგრაფიულ, მაკრო-მიკროსტრუქტურულ ანალიზს, ქიმიური შედგენილობის განსაზღვრას, რაც ინდივიდუალურია ცალკეული ექსპონატისთვის.

ლითონის მასალის მეტალოგრაფიული ანალიზი ჩატარდა NEOPHOT-30 მარკის ოპტიკურ მიკროსკოპზე და JEM-1000 ელექტრონულ მიკროსკოპზე. გათვალისწინებულია კვლევის მეთოდის უნივერსალობა და მაღალი სიზუსტე, რაც მნიშვნელოვანია ნივთის მასალის დამზადება-დამუშავების ტექნოლოგიური სქემის აგებისათვის.

მეტალოგრაფიული კვლევის შედეგებით დადგენილია XVIII-XIX საუკუნეების ცივი იარაღის მასალის, ბულატის ფოლადისა და მალალნახშირბადიანი ფოლადის სტრუქტურული აგებულება, რაც ამ პერიოდის იარაღწარმოების მაღალ დონეს განსაზღვრავს.

კვლევის კომპლექსურმა მეთოდმა განაპირობა მასალის მრავალმხრივი ანალიზის ექსპრიმენტული წარმატებები და მიღებული შედეგების ეფექტურობა. საშუალება მოგვცა თანამედროვე მონაცემთა ბაზაზე შეგვესწავლა XVIII-XIX საუკუნეების ქართული იარაღის საბრძოლო თვისებები და წარმატებები, გაგვერპვია მისი ადგილი კავკასიის რეგიონის ლითონდამუშავებისა და იარაღწარმოების სისტემაში.

იარაღის ფონდში დაცული მასალის კლასიფიკაცია

(ქართული საჭურველი)

ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული საომარი საშუალებები იყოფა ორ სახეობად: შემტევ და თავდასაცავ იარაღად. მეომრის გარდა იჯავშნება ცხენიც. ცხენის შეჯავშნის ტრადიცია გაჩნდა აღმოსავლურ ქვეყნებში და აქედან გავრცელდა დანარჩენ სამყაროში, მათ შორის საქართველოშიც. საბრძოლო იარაღის კლასიფიკაცია განსაკუთრებით ცეცხლსასროლი იარაღით განისაზღვრება.

ქართული იარაღის სახეობებთან ერთად ფონდში დაცულია სხვადასხვა ქვეყნებისა და ეთნოსის საბრძოლო იარაღი: იაპონური – ხმლები, შუბები, მშვილდი, სამურაის მთლიანი აღკაზმულობა. ჩინური – ხმლები. ინდური (ინდო-სპარსული) – ხმლები, ყამები. შუა აზიური – ხმლები, ხანჯლები. სპარსული – ფარები, ხმლები, ხანჯლები, ბებუთები, მუზარადები, ხელნავები, ცულები, კვერთხები. თურქული – მუზარადები, ხმლები, იატაგანები, ყამები, თოფ-დამბაჩები, მშვილდები. აფრიკული – შუბები, ფარები, ხმალ-ხანჯლები. ევროპული (ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, უნგრული, ალბანური) – ხმლები, თოფ-დამბაჩები, მუზარადი, თორი. ამერიკული – ცეცხლსასროლი იარაღი (ვინჩესტერი, გასერი, კოლტი). ქურთული – ფარები. კავკასიური (ჩერქეზული, დაღესტნური, ოსური, სომხური და აზერბაიჯანული) – ხმალ-ხანჯლები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები, თოფ-დამბაჩები.

ფონდში წარმოდგენილი თითოეული სახეობის საბრძოლო საშუალებიდან მთავარი აქცენტი გაკეთებულია ქართულ იარაღზე.

ცივი იარაღი (ხმლები)

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღის ფონდი წარმოადგენს ეროვნული მუზეუმის იარაღის ძირითად კოლექციას, სადაც დაუნჯებულია 1000-მდე ერთეული ცივი იარაღი (რომელთაგან 500-მდე ხმალია). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მუზეუმს 160 წლიანი ისტორია აქვს, ზოგიერთი სამუზეუმო კოლექცია დღემდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია. იარაღის ფონდის ხმლები ექსპონატთა ამ კატეგორიას განეკუთვნება.

იარაღის ფონდის ხმლების წარმომავლობა კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: იაპონური, ჩინური, ინდური, სპარსული, თურქული, შუა აზიური, ევროპული, რუსული, კაგბასიური და ქართული.

იარაღის საერთო ქრონოლოგიური ჩარჩო XVII-XIX საუკუნეებით განისაზღვრება. თითოეული ქვეყნის იარაღი კი, თავის მხრივ იყოფა ტიპებად.

იაპონურ ხმლებში გამოიყო: ტეკუტო, ტატი, ტანტო, კატანა და ვაკიძაში. ჩინური ხმლებიდან განსაკუთრებულია: დაო, ვოდაო და ჩან მა დაო. ინდოეთის ცივი იარაღის მრავალი სახეობა, ცნობილი თავისი ეგზოტიკური შესახედაობითა და დანიშნულებით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია. ხმლის ნაირსახეობებია: ტალვარი – მოღუნული პირით, ქსანდა – სწორი, ორლესული ხმალი, ბიჩვა – მორიელის ნესტარი, რომელთა ეგზემპლარები საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდშია დაცული.

სპარსული ხმლებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა „შამშირი”, რომლის გავრცელების არეალი მაროკოდან პაკისტანამდე ტერიტორიას მოიცავდა. შამშირი მთელი მუსულმანური სამყაროსათვის ხმლის ძირითად ტიპს წარმოადგენდა, ამიტომ მისი პირი ხშირად ყურანიდან ამოღებული გამოთქმებითაა შემკული.

თურქული ხმლებიდან ადსანიშნავია „კილიჩი”, რომელიც წარმოადგენს ფართო, მოხრილ, გამოკვეთილ შაშარიან პირს. ქარქაშის კიდე ჩახსნილია, იარაღის ფართო პირი ადგილად ამოდის ბუდიდან. ორი სალტით და დიდი ბუნიკით არის გაწყობილი.

თურქული ხმლებიდან გამოვყავით „იატაგანი” – მჩენავი იარაღი, ალესილი შიდა პირით. იატაგანი XVI საუკუნიდანაა ცნობილი, ძირითადად როგორც იანიჩარების იარაღი. მისი ზოგიერთი სახეობა ორმაგად გაღუნული, ტალღოვანი პირით, ცნობილია „ლაზბეჩაგის” (ლაზური დანის) სახელწოდებით.

კავკასიური ხმლები. კავკასიელი ხალხების მიერ დამზადებული ზოგიერთი ხმლის ტიპი შეიძლება ერთმანეთისგან მხოლოდ მორთულობით განვასხვავოთ. უმრავლეს შემთხვევაში მათი წარმომავლობის დადგენა ორნამენტის საშუალებით შეიძლება.

ხმლების ტიპოლოგიურ ანალიზში მთავარი უურადღება დაეთმო ქართულ იარაღს. ქართული ხმლის მრავალგვარობა ტერმინოლოგიაშიც არის ასახული. განხილულია და დახასიათებულია ქართული ხმლის ათი ტიპი, რომელიც გვიანობამდე შემორჩა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ესენია: გორდა, კალდიმი, კაბიანი, დავითვერული, ფრანგული (მგლის დამღიანი), ხევსურული, ლეპური (შაშკა), უნგრული, თბილისური და ირანული ტიპის ქართული ხმალი. ფონდში არსებული მასალის კლასიფიკაციით განხორციელდა თითოეული ქართული ტიპის ხმლის იდენტიფიკაცია, სრული ატრიბუცია და ექსპერტიზა. გარკვეულია, რომ კალდიმის ხმლის დამღას (რომელიც სულხან-საბას მიხედვით ქართველთა საყვარელი ხმალია), წარმოადგენს პირის ერთ მხარეს სამეფო სფეროს სტილიზებული გამოსახულება (წრე ზემოდან ჯვრით), ხოლო მეორე მხარეს მორბენალი მგელი. დადასტურდა, რომ კავკასიაში პოპულარული ხმალი „შაშკა”, საქართველოში ცნობილი იყო „ლეპურის” და „ჭოლაურის” სახელწოდებით. ფონდის მასალაზე დაყრდნობით ხმალი „დავითვერული”, იტალიური ხმლის პირების ქართულ მინაბაძებს დაუკავშირდა.

ცალკე ჯგუფად გამოიყო თბილისური ხმლები, რომელიც ერთმანეთთან კავშირშია პირის დამზადების ტექნოლოგიით და საერთო დამდებით; დამლის მიხედვით გაერთიანდა „უნგრული” ხმლის ტიპიც, უნგრული დამდებით და წარწერებით, რომელთა დანარჩენი ნაწილები დამზადებულია საქართველოში და ვერცხლის ფირფიტებზე თბილისის სასინჯი პალატის დამდები არტყია.

ხევსურული ხმლების ჯგუფში გაერთიანდა ყველა ის იარაღი რომელთა ტარ-ქარქაშები ტრადიციული ხევსურული ტექნოლოგიით არის დამზადებული (ამ შემთხვევაში ხმლის პირს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ის შეიძლება იყოს ადგილობრივიც და შემოტანილიც). გორდა ხმალზე მოძიებული ყველა ქართული და რუსული ეთნოგრაფიული მასალით ფონდში არსებული ხმლებიდან გამოყოფილია ქართული ვარიანტები. იმერული „კაბიანი” ხმლის ფუნქცია-დანიშნულება მხედარ მეომარს დაუკავშირდა.

ერთ-ერთი ვერსიით ქართული ხმლების პირები ევროპიდან შემოდიოდა, მაგრამ, ამავდროს ადგილობრივადაც მზადდებოდა. ევროპიდან შემოტანილი ხმლების საერთო აღმნიშვნელ სახელწოდებად კი „ფრანგული” იყო მიღებული. განასხვავებდნენ ავსტრიიდან, გერმანიიდან (დედალ ფრანგული) და იტალიიდან (მამალ ფრანგული) შემოტანილ ხმლებს. ცნობილია მგლის დამლიანი გერმანული პირების ქართული მინაბაძებიც, რომელიც დედალ ფრანგულის კატეგორიაში გადიოდა.

ხმლის საინტერესო სახეობაა ირანული ტიპის ქართული ხმალი, რომელსაც სპარსული შამშირის (ორიგინალი ან მინაბაძი) პირი აქვს, ტარ-ქარქაში კი, დამზადების ტექნიკითა და მორთულობით ტიპიური ქართულია. ამ შემთხვევაში ხმლის პირის ფორმამ, ირანული ტიპის ქართული ხმლის კატეგორიის, ცალკე ჯგუფად გამოყოფა განაპირობა.

იარაღის ფონდში დაცული ცეცხლსასროლი იარაღი

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და იარაღის ფონდში არსებულ მასალაზე დაყრდნობით, გამოვყავით ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ხუთი საფეხური, რომელიც იარაღის ჩახმახის კონსტრუქციის მიხედვით, ასე წარმოგვიდგება: I – ფითოლიანი თოფები

(XV–XVI სს.), II – გორგოლაჭიანი თოფები (XVI ს.), III – კაუიანი თოფ-დამბაჩები (XVI-XIX სს-ის I ნახევარი), IV – ფისტონიანი თოფ-დამბაჩები და რევოლვერები (XIX ს.) და V – ნემსიანი ჩახმახები (XIX ს-ის II ნახევარი), რომელთაც სათავე დაუდეს თანამედროვე იარაღის შექმნას.

საქართველო კაუიანი თოფების პერიოდიდან ერთვება ცეცხლსასროლი იარაღების განვითარების ისტორიაში. კავკასიაში, ფითილიანი და გორგოლაჭიანი თოფ-დამბაჩები არ უწარმოებიათ.

წარმომავლობის მიხედვით მოხდა იარაღის ფონდში დაცული ცეცხლსასროლი იარაღის კლასიფიკაცია – ქართული, კავკასიური, რუსული, თურქული, ევროპული და ამერიკული. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრა XVI-XX საუკუნეებით. თითოეული ქვეყნის ჯგუფში შემავალი იარაღი თავის მხრივ დაიყო ტიპებად.

კავკასიური თოფების ჯგუფში გაერთიანდა ქართული, დაღესტნური და ჩერქეზული თოფ-დამბაჩები. კავკასიური ცეცხლსასროლი იარაღის საერთო რაოდენობა ფონდში ოთხას ერთეულს აჭარბებს.

რუსული თოფების წარმოება განხილულია ტულისა და იუვსკის ქარხნების მაგალითზე (იარაღის ფონდში დაცული რუსული ცეცხლსაროლი იარაღის უმეტესობა ამ ქარხნებიდან არის წარმოდგენილი). იარაღის ფონდში დაცულია 95-მდე ერთეული (თოფები და დამბაჩები) იუვსკისა და ტულის ქარხანაში წარმოებული კაუიანი, ფისტონიანი და ნემსიანი შაშხანები.

ფონდში ინახება თურქული თოფებისა და დამბაჩების 117 ერთეული (ერთი ფითილიანი, უმრავლესობა კაუიანი თოფებია).

ევროპული იარაღიდან ფონდში დაცულია თოფ-დამბაჩების 210-მდე ერთეული, სადაც ერთიანდება – ფრანგული, გერმანული, იტალიური და ინგლისური ცეცხლსასროლი იარაღი.

ამერიკული იარაღიდან ფონდში დაცულია 20-მდე ექსპონატი, მათ შორის 10-მდე ერთეული ვინჩესტერის სისტემის თოფია, დანარჩენი გასერისა და კოლტის სისტემის რევოლვერები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართული იარაღის ისტორიის მიმოხილვას. წყაროებზე დაყრდნობით პირვანდელი ცნობები

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ XV საუკუნემდე არ ჩანს.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სახელმწიფო შეიარაღებაში მკვიდრდება არტილერია. XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქართლ-კახეთის სამეფო ძლიერების პერიოდში, მრეწველობის აღორძინებასთან ერთად დასტურდება მეფე ერეკლე II-ის როლი ქართული საიარაღო საქმის აღორძინების საქმეში.

XVII–XVIII საუკუნეებში საქართველოში თოვების ადგილობრივი წარმოება დაიწყო. ქართული ცეცხლსასროლი იარაღის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა იარაღმა (თავად ტერმინები – დამბაჩა, თოვი და ზარბაზანი ოსმალურია. მათი ქართული შესატყვისებია ხელმეხი და ქვემეხი). XVII საუკუნის ბოლოს ეს მსგავსება თვალში საცემია, ხოლო XVIII საუკუნის I ნახევრიდან ცეცხლსასროლი იარაღების კაგპასიური ტიპი ყალიბდება. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ქართულ იარაღს უჭირავს. ცნობილია შემდეგი დასახელების თოვები: მაჭახელა, ხირიმი (ყირიმი), მაჟარი, ერეჯიბი (ჩერქეზი ოსტატის სახელის მიხედვით), მუსტაფა (დაღესტნელი ხელოსნის სახელის მიხედვით), ოსტამული, ხარა, ჩარმა, ჩაქალოზი, ქოფაჩი, გველისტუჩა, დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისური თოვები, მოგვიანებით ყარაბინი და სხვ.

იარაღის ფონდში კაგპასიური თოვ-დამბაჩების 400-ზე მეტი ერთეულია დაცული, რომელთაგან 120-მდე ქართულია, ხოლო დანარჩენი დაღესტნური და ჩერქეზული. გარდა სრულად შენახული იარაღებისა ფონდში დაცულია ასევე, მხოლოდ ლულების კოლექციაც, რომელთა საერთო რაოდენობა 49 ერთეულია.

XIX საუკუნეში ევროპული, კერძოდ ინგლისური, ფრანგული, ბელგიური, რუსული წარმოების იაფფასიანი იარაღების გავრცელებამ კაგპასიასა და საქართველოში ადგილობრივი ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება შეზღუდა, შესაბამისად ქართული და ზოგადად კაგპასიური იარაღების წარმოების მასშტაბები საგრძნობლად შემცირდა.

ფონდში დაცული ცეცხლსასროლი იარაღებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა თოვები იქცვას. აქ

თავმოყრილია ქართველი მეფეების: ბაქარის, არჩილის (ფეოდალური ხანის კოლექციები), ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, სოლომონ II-ის, გიორგი XII-ის თოფები; ქართველ წარჩინებულთა: მამუკა ჭავჭავაძის, გრიგოლ დადიანის, კონსტანტინე დადეშქელიანის, გიორგი სააკაძის, ზაალ ბაგრატიონის, გიორგი ორბელიანის თოფები, თეიმურაზ II-ის ზარბაზანი. აღნიშნული იარაღის ქრონოლოგიური ჩარჩო XVII-XIX საუკუნეებით განისაზღვრება.

ნაშრომში განხილულია თითოეული მემორიალური თოფის მოკლე ისტორია და წარმომავლობა. თოფებზე ჩატარებული ატრიბუცია-ექსპერტიზის, დამღების შესწავლის და წარწერების გაშიფრვის საფუძველზე მოხდა ექსპონატების იდენტიფიკაცია, მათ შორის რამდენიმე ნივთი საქართველოს ისტორიულ ფაქტებს დაუკავშირდა. მაგალითად, მეფე ერეკლე II-ის კაუიან თოფს ლულაზე აქვს ოქროზარნიშით შესრულებული ქართული წარწერა „ქ. ირაკლის სიქადულო საძლეველო მტერთა ჯვარო ქრისტესო”, რომელიც 1752 წლის ივლისის თვეში მომხდარ ისტორიულ ფაქტს უკავშირდება.

ომან ხერხეულიძის გადმოცემით, 1752 წლის ივნისის თვეში აზატ-ხანი დიდხალი ჯარით ერევანს შემოესია. ერევნელებმა მეფე ერეკლეს შველა თხოვეს. მეფე ირაკლი დაიძრა ერევნისაკენ. ეს ამბავი აცნობეს აზატ-ხანს, რომელმაც შემოიკრიბა ყაზილბაშ-ავლანელების ჯარები „ვიდრე ორმოცი ათასამდე” და „გარნაჩაიზედ” დაბანაკდა. მეფე ერეკლეს ლაშქარი „წარვიდა ორის ათასის კაცითა აზატ-ხანის შესაბმელად.”

ბრძოლის წინ მეფე ირაკლი „დაემხო მიწასა და ლმერთსა ევედრა,” შემდეგ ჯარს მიმართა მგზნებარე სიტყვით და ტაქტიკური ბრძანებაც გასცა: „ვირემ მე ცხენზე არ შევჯდე, თქვენც ნურავინ შესხდებით და ვირე ჩემი თოფი არ გავარდეს, თქვენ თოფს ნურვინ ესვრითო.” სწორედ ამ დროს 500 კაციანი თათრის მხედრობა გაშორდა ქართველთა ჯარს, „განსდგნენ ცალკერდ და გაკეთდენ ერთ დასტად.” მათთან ერთად იყო ერთი ერევნელი თათარი, აირუმლის სულთანი, სახელად ალავერდი. მაშასადამც, ერეკლეს მცირე მხედრობას კიდევ გამოაკლდა 500 კაციანი თათრის რაზმი. „მხილველმან მეფემან თვისისა ჯარისა სიმცროსამან ფრიად მხურვალედ თაყვანი სცა ჯვარსა ქრისტესა ცრემლით და

ყოველნი სპანი ათაყვანა ჯვარსა.” ამ დროს მოვიდა ის თათარი „ალავერდი სულტანი და ჰრეკი ჯვარსა ქრისტესსა... უკეთუ შეძლება რამ არს შენ შორის, დღეს გამოჩნდებაო. და დაადგრა მეფის ირაკლის თანა.”

მეფე ირაკლიმ უსარდლა დარჩენილ ათას ხუთას კაცს. ქართველები ალყაში მოაქციეს და მათ ცოცხლად შეპყრობას ლამობდნენ. ერთ-ერთმა ხანმა აზატ-ხანისაგან ერეკლეს ცოცხლად აყვანის ნება ითხოვა... შუბით შეიარაღებული ბრძოლის ველზე შეიჭრა და ხმაჭყო: „ჰამამან ჰანიერ ირაკლი-ხან (რომელ არს ქართულად – სად არის ირაკლი მეფე)… მაშინ „გაუხდა მეფე ირაკლი მკვირცხლ და შესძახა: მე ვარ ირაკლი მეფე და ხმა ყოფასა თანა მისცა თოფსა ცეცხლი, გავარდა თოფი მეფისა და მოხვდა მას ხანსა გულსა”. ამის დამნახავი ქართველთა ჯარი გამხნევდა და ერთობით „მისცა ცეცხლი თოფთა თვისთა და რაცა მახლობლად მისრულნი ყიზილბაში და ავდანნი იყვნენ, ერთობით ჩამოყარნეს და დაუცნენ მიწათა ზედა.” ამის შემდეგ ამხედრდა მეფე ერეკლე, აამხედრა თვისი მხედრობაც და „იკრეს ხრმალთა ხელი და ერთობით შეუტივეს და მყის თანად მისვლასავე აოტნეს ყიზილბაშ-ავდანნი” [83:51-52].

ქართველებმა გაიმარჯვეს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ალავერდი სულტანი „დიდად განკვირვებული იტყოდა წინაშე ჯვარისა: „ესე საქმე კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ჯვარის ძალამ ჰყო.”

ამ ისტორიიდან ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეფე ირაკლიმ თავისი მცირე მხედრობა შეავედრა უჯვარსა ქრისტესსა” და გაიმარჯვა. საყურადღებოა ისიც, რომ მეფე ერეკლე თავის სპას მიმართავს: „ვიდრე ჩემი თოფი არ გავარდეს, თქვენ თოფს ნურვინ ესვრითო.” მაშასადამე, ქრისტეს ჯვარზე” შევედრებული მხედრობა, ბრძოლას იწყებს ერეკლეს თოფის გასროლით და ამ „კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელ” ომში იმარჯვებს.

ერეკლეს თოფის წარწერა – „ქ. ირაკლის სიქადულო საძლეველო მტერთა ჯვარო ქრისტესო” სწორედ ამ გამარჯვებას უნდა უკავშირდებოდეს. მართლაც, სასიქადულოა ეს გამარჯვება და, შესაბამისად, ეს თოფიც, რომელსაც თითქოს მთავარი მნიშვნელობა

ენიჭება ამ გამარჯვებაში. ერეკლეს თოფი მართლაც მტერთა მძლეველია, რადგან მისმა ერთმა დაუცდენელმა გასროლამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. და ბოლოს, ხაზგასმულია ქრისტეს ჯვრის ძალა, რამაც უმთავრესი როლი შეასრულა ამ ბრძოლის წარმატებით დასრულებაში. სიმბოლურია ამ წარწერის გამოსახვაც თოფზე, რადგან სწორედ ერეკლეს „სიქადული” თოფის გასროლით დაიწყო ბრძოლა და ქართველთა ჯარმა „ქრისტეს ჯვრის” მადლით „სძლია მტერს”.

ქართული ცეცხლსასროლი იარაღის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ეროვნული მუზეუმის იარაღის უნიკალური კოლექციების კლასიფიკაცია, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში მათი წარმომავლობისა და ქართული იარაღწარმოების ისტორიულ-ტექნოლოგიური განვითარების ეტაპების განსაზღვრა.

დანართში წარმოდგენილია შესწავლილი ექსპონატების ილუსტრაციები და საკოლექციო მასალა, საკატალოგე ინფორმაციით.

ზოგადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკულ-ლაბორატორიული კვლევის შედეგების ძირითადი დებულებების განზოგადების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

1. დადგენილია, რომ იარაღის ფონდში დაცული საგანძურის (3000-ზე მეტი ექსპონატი) 30% წარმოადგენს კერძო კოლექციონერებისგან შეძენილ ან ჩამორთმეულ მასალას (1000-მდე ერთეული ნივთი). გარკვეულია აღნიშნული კოლექციონერების (მეჯიდ ოს სალტინე, მირზოევი, კაფაროვი, კაზნაკოვი, ზ. კობიაშვილი) ბიოგრაფიული ცნობები და მათი კოლექციების მუზეუმში შემოსვლის გზები. შედეგად გაიზარდა ექსპონატთა საერთო რაოდენობა და მნიშვნელოვნად გამდიდრდა იარაღის ფონდი.
2. ფონდში დაცული იარაღის თითოეული სახეობის კლასიფიკაციის შედეგად გარკვეულია იარაღის ფონდის კოლექციის გეოგრაფიული დიაპაზონი, უკიდურესი აღმოსავლეთიდან ამერიკული იარაღის ჩათვლით. შესწავლილია და წარმოდგენილია: იაპონური, ჩინური, შუა აზიური, ინდური, სპარსული, თურქული, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპული (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, პოლონეთი, ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, ალბანეთი), კავკასიური (ქართული, ჩერქეზული, დაღესტნური, ჩეჩნური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური), ქურთული, აფრიკული და ამერიკული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის სახეობა.
3. ცალკე გამოიყო და დაზუსტდა ხმლების კოლექცია. ექსპონატები დაჯგუფებულია წარმომავლობის მიხედვით. თითოეული ჯგუფი შევსებულია იარაღის ტიპოლოგიური ნიშით (იაპონური, ჩინური, შუა აზიური, სპარსული, თურქული, ევროპული, კავკასიური და აფრიკული ხმლები).

4. ხმლების კოლექციიდან შესწავლილი ბულატის ფოლადის ექსპონატების კომპლექსური, ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზებით დადგენილია იარაღის დამზადების სქემა: ბულატის ხმალი მიღებულია სპეციალური ორმულ-მექანიკური დამუშავებით, უწყვეტი ჭედვის პრინციპით. ბულატი წარმოადგენს მაღალნახშირბადიან ფოლადს ($C=0,9-1,5\%$), სადაც ზეპლასტიკურობის ზღვარზე დეფორმაციის შედეგად მასალა იძენს მექანიკური თვისებების კომპლექსს: მაღალ სისალს და ჭრის უნარს, ოპტიმალური დრეკადობისა და სიბლანტის მაჩვენებლებს.
5. ქართული წარმომავლობის ხმლების გამოკვლევის საფუძველზე გამოყო ქართული ხმლების ათი სახეობა – გორდა, კალდიმი, კაბიანი ხმალი, დავითფერული, ფრანგული (მგლის დამდიანი), ხევსურული, ლეკური//ჭოლაური, უნგრული, თბილისური და ირანული ტიპის ქართული ხმალი.
6. ექსპონატთა მორფოლოგიური და მაკრო-მიკროსკოპული ანალიზებით გარკვეულია ცივი იარაღის დამზადების ტექნოლოგიური სქემა: ქართული ხმლის ხმლის მასალა, მაღალნახშირბადიანი ფოლადი, მიღებულია წრთობა-მოშვების პროცესის გამოყენებით. სტრუქტურული აღნაგობა განაპირობებს მასალის სისალეს, ჭრის უნარს და დრეკადობისა და პლასტიკურობის კარგ მახასიათებლებს.
7. წარმოდგენილი ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ეტაპებით (XV-XVIIსს – ფითილიანი თოფი, XVI-XVIIIსს – გორგოლაჭიანი თოფ-დამბაჩა, XVI-XVIIIსს – კაჟიანი თოფ-დამბაჩა, XIXს-ის I ნახევრი – ფისტონიანი თოფ-დამბაჩა, XIXს-ის II ნახევრი – ნემსიანი შაშხანა, XIXს-ის 30-40იანი წლები – რევოლვერი), განსაზღვრულია ქართული იარაღის განვითარების პერიოდი, XVIII საუკუნის ათიანი წლებიდან XIX საუკუნის I ნახევრამდე. ქართული თოფი და დამბაჩა აღმოსავლური და

ეგროპული ცეცხლსასროლი იარაღის ტრადიციების გავლენას განიცდის, გვიანი შუასაუკუნეების მანძილზე მუდმივად ვითარდება და აღწევს საბრძოლო ეფექტიანობას.

8. გამოიკვეთა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მეფე ერეკლე II-ის დვაწლი ქართული იარაღწარმოების განვითარების საქმეში. მეფე ერეკლე ქართული არტილერიის შექმნის სათავეებთან დგას.
9. ცეცხლსასროლი იარაღის კომპლექსური პელეგის შედეგებით, დამლების ატრიბუციით და იარაღზე არსებული წარწერების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში ჩატარებული კვლევა-ძიება თითოეული კონკრეტული ნივთის სრული ატრიბუციისა და ექსპერტიზის შესაძლებლობას განაპირობებს. მეცნიერული ინფორმაციის სფეროში შემოვიდა მუზეუმში არსებული და დღემდე უცნობი ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები

გამოქვეყნებულია ავტორის ნაშრომებში

1. ქაფიანიძე მ. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ცეცხლსასროლი იარაღი (თოფები). საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეთნოლოგიური მიებანი, თბილისი, 2000, გ. I, გვ. 337-349.
2. ქაფიანიძე მ. – ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის (დამბაჩები). საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეთნოლოგიური მიებანი, თბ., 2007, გ. III, გვ. 176-193.
3. ნადირაძე ე., ქაფიანიძე მ. – სვანური საბრძოლო იარაღის ისტორიიდან, კრებული სვანეთი, თბ., 2008. გ. III, გვ. 58-63.
4. ქაფიანიძე მ. – ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საისტორიო ვერტიკალები, თბ., 2008, №16, გვ. 54-59.
5. ჩოლოეაშვილი პ., ქაფიანიძე მ. – ქართული საჭურველი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეთნოლოგიური მიებანი, თბ., 2010, გ. IV, გვ. 46-77.
6. ქაფიანიძე მ. – ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის (საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალის მიხედვით). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბ., 2010. გ. I (46- B), გვ. 306-329.
7. აბაშიძე მ., ქაფიანიძე მ. – სარიდან არაგვის ერისთავის შეწირული თასი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბ., 2011, გ. II (47-B), გვ. 364-373.
8. ქაფიანიძე მ. – ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა თოფები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბ., 2011. გ. II (47- B), გვ. 318-348.
9. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, პროექტი შესრულებულია საქართველოს სამეცნიერო და რესთაველის ფონდების გრანტის საფუძველზე №GNSF/ST 06/1-012, ავტორთა ჯგუფი, თანაავტორი, თბ., 2012, გვ. 602.